№ 13 1883—1901 1—15 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკუმენი

ოფიციალური განყოფილება

უქაზი უწმიდესი და უმართებელესი სინოდიდგან 13 თებერვალს 1901 წელსა.

სინოდის წევრს, საქართველოს ექსარხოზს ყოვლად სამღვდელო ფლავიანეს, მთავარ-ეპისკ. ქართლ-კახეთისას.

ბრძანებისამებრ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, უწმიდესმა უმართებელესმა სინოდმა მოისმინეს: უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მიერ წინადადებული, 17 წარსულ იანვრიდგან მე-10 ნომრით, ჟურნალი სასწავლო კამიტეტისა მე-6 ნომრით, კამიტეტისვე დასკვნითურთ, თქვენის ყოვლად უსამღვდელოესობის მიერ აღძრულ საკითხის გამო იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა იქმნენ იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიების სასულიერო უწყების სასწავლებლები საქართველოს ექსარხოსის და ადგილობრივ მღვდელ-მთავართაგან ბრძანეს: მიიღების რა მხედველობაში ის გარემოება, რომ სასულიერო უწყების სასწავლებლები, მათის წესდების თანახმად, იმყოფებიან იმ ეპარქიათა მღვდელ-მთავრების უახლოეს გამგეობის ქვეშ, სადაც ეს სასწავლებლები არსებობს, და აგრეთვე მიიღების რა სახეში ისიც, რომ მოქმედ კანონდებათა თანახმად, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საექსარხოსოს მმართველ-გამგეობის საქმეს, იმერეთის და გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავრები განაგებენ რწმუნებულს მათდამიმართ ეპარქიებს საქართველოს ექსარხოსის და ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის მთავარ უფროსობის ქვეშ, უწმიდესი სინოდი, სასწავლო კომიტეტის დასკვნის მოსმენის შემდეგ, განაწესებს: რომ თავიდგანაც აცილებულ იქმნას გაუგებრობა იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა იქმნან იმერეთის და გურია-სამეგრელოს სასულიერო უწყების სასწავლებლები საქართველოს ექსარხოსისა და ადგილობრივ მღვდელ-მთავრებისაგან, დადგენილ იქმნას ამ სასწავლებელთა გამგეობაში ასეთი წეს-რიგი: საქართველოს ექსარხოსი, როგორც მთავარ-უფროსი საექსარხოსოს სასულიერო უწყების ყველა სასწავლებელთა, განაგებს უფრო დიდს საქმეებს იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არსებული სასწავლებლებისას; კერძოდ მისს გამგეობას ეკუთვნის: 1, სასულიერო სემინარიების რექტორის და ინსპექტორის კანდიდატთა წარდგენა უწმიდესს სინოდში (წესდ. სემ. მუხლები: 23, 24, 38); სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველის და იმის თანაშემწის კანდიდატებისა (სასწ. წესდ. მუხლები: 43 და 58); და აგრეთვე საეპარქიო დედათა სასწავლებლების უფროსის ქალის კანდიდატისა (მუხლ. 27 წესდ.); 2, ერთი საგნიდგან მეორე საგანზედ გადაყვანა იმ მასწავლებელთა, რომელთაც ნიშნავს სასულიერო სასწავლო უწყების შუაგული სამმართველო (საყოველთაო მიწერილობანი სინოდის ობერ-პროკურორისა 31 დეკ. 1885 და 30 ნოემბრიდგან 1900 წლ.) და დროებითი, სამსახურზედ გულ-გრილობისათვის, დათხოვნა თანამდებობიდგან მოსამსახურე პირთა (სემ. წესდ.

მუხლი 18; სას. სასწ. წესდ. მუხლი 12); 3, სემინარიის სტუდენტთა განწესება სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობაზედ (წესდ. სემ. პარაგ. მე-50 შენიშვნა) და სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლებად (სასწ. წესდ. პარაგ. 61 შენიშვნა) და აგრეთვე ნებართვის მიცემა სხვა უწყების მასწავლებელთათვის სასულიერო სასწავლებლებში სწავლების შესახებ (პარაგ. 62 სასწავ. წესდ.); 4, საეპარქიო დედათა სასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარის და ამავე სასწავლებელთა სჯულის მოძღვართა და მასწავლებელთა დამტკიცება (წესდ. მუხლები: 17, 47, 54 და შენიშვნა); 5, შუამდგომლობა თანამდებობის პირთა დაჯილდოების შესახებ (სემ. წესდ. მუხლი 21; სასულ. სასწ. წესდება მუხლ 15; საეპარქიო სასწ. წესდ. მუხლ. 12); 6, სასულიერო სასწავლებელთა რევიზიის დანიშვნა (წესდ. სასწ. მუხლი 29); 7, სასულიერო უწყების სასწავლებელთა სასწავლო და ზნეობითის მხრით მდგომარეობის შესახებ წლიურ ანგარიშთა წარდგენა უწმიდესს სინოდში (სემ. წესდება პარაგ. 19; სასულ. სასწ. წესდება პარაგ. 13, საეპარქიო სასწ. წესდ. პარაგ. 10); 8, შუამდგომლობა სასულიერო სემინარიაში პარალელურ განყოფილებათა გახსნის შესახებ (წესდ. სემ. მუხლნი 8 და 9); 9, სასულიერო სემინარიათა საპედაგოგიო და საგამგეობო კრებათა საქმეები: ა) დანიშვნა საუკეთესო მოწაფეთა სას, აკადემიაში შესასვლელად (წესდ. სემ. მუხლი 103 შენიშვნა 6); ბ) სემინარიიდგან არა კეთილ საიმედო მოწაფეთა დათხოვნა (წესდ. სემ. პარაგ. 103. შენიშვნა 1); გ) პროგრამმებში სხვა-და-სხვა განზრახულ სასურველ ცვლილებათა განხილვა (მუხლი 13); დ) გამონახვა და განხილვა საზოგადო ზომათა დასაცველად და გასამტკიცებლად კეთილის ზნეობისა მოწაფეთა შორის (მუხლი 21,) ე) დასკვნანი ადგილობით სასულიერო სასწავლებელთა საქმეების გამო, რომელიც უნდა დამტკიცებულ იქმნას უწმიდესის სინოდის მიერ (მუხლი 23 და სას. სასწ. წესდება მუხლი 25); ვ) ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა (სემ. წესდ. მუხლი 104 შენიშვნა 10); 10) სასულიერო სასწავლებელთა საქმეები ა) ცუდი მოწაფეების დათხოვნა სასწავლებლიდგან (წესდ. სასწ. მუხლი 37 შენიშვნა 6); ბ) გამონახვა და განხილვა საზოგადო ზომათა დასაცველად და გასამტკიცებლად კეთილის ზნეობისა მოწაფეთა შორის (სასწ. წესდ. მუხლი 37 შენიშვნა 6); გ) შედგენა წლიურ ხარჯთ-აღრიცხვისა სასწავლებლის შესანახად (მუხლი 11) და საეკონომიო ნაწილის წლიურ ანგარიშისა (მუხლი 16); 11, საეპარქიო დედათა სასწავლებლების საბჭოთა საქმენი: ა) გამონახვა და განხილვა საზოგადო ზომათა გასაუმჯობესებლად სასწავლო და საალმზრდელო ნაწილისა სასწავლებელში (წესდ. პარაგ. 24 შენიშვნა 6); ბ) საკითხები პროგრამმებში სასურველ ცვლილებათა შემოღების შესახებ (პარაგ. 9); გ) სასწავლებლის შესანახად წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა (პარაგ. 11) და საეკონომიო ნაწილის წლიურ ანგარიშის შედგენა (პარაგ. 19); 12, ყველა ის საქმეები, რომელთა გამო აღიძვრის ახალი საკითხები, რომელთ გადაწყვეტა არ შეიძლება სასულიერო სასწავლო უწყებაში არსებულ დადგენილებათა შემწეობით და რომელთ გამო საჭიროა აღძრულ იქმნას შუამდგომლობა ამ უწყების შუაგულ სამმართველოს წინაშე. ამას გარდა ყველა საქმეები იმ სასულიერო უწყების სასწავლებლებისა, რომლებიც არიან იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში, მიენდობა ადგილობრივ მღვდელ-მთავრების პირდაპირს გამგეობას; ამასთანაკე ყოვლად სამღვდელოებს შეუძლიათ ყოველს საჭირო შემთხვევაში აღძრან შუამდგომლობანი მათდა მიმართ რწმუნებულ სასულიერო უწყების სასწავლებელთა საქმეების გამო, რაის შესახებ გაეგზავნოს თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ბრძანება. თებერვლის 13 დღესა, 1901 წ. დედანი ჯეროვანად ხელმოწერილია.

ა ს ლ ი.

მისის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის განაჩენი: „22 თებერვალს 1901 წ. გაეგზავნოს ჯეროვან აღსასრულებლად ასლები ამ ბრძანებისა იმერეთის და გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავრებს, ქუთაისის სასულიერო სემინარიის და ქუთაისის, სამეგრელოსა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლების გამგეობათა და იმერეთის გაბრიელის დედათა სასწავლებლის საბჭოს“.

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 13 1883—1901 1—15 ივლისი.

გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი და სულელნი მისი გულისათვის.

ყველამ კარგად უწყის, თუ ვინ იყვნენ სულელნი ქრისტეს გულისათვის. დღეს რომ კარგად დავაკვირდეთ ხალხის ცხოვრებას, შევნიშნავთ, რომ ქრისტეს გულისათვის სულელთ მრავალი მსგავსნი ჰყავთ დღესაც. ერთი სულელობს რომელიმე ფილოსოფოსის გულისთვის, მეორე—მეორესათვის და ასე სხვანი. მაგრამ ჩვენ დროში მეტის-მეტად ვრცელდება რიცხვი სულელთა გრაფ ტოლსტოის გულისათვის... ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვის თქმა როგორც თვითონ გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის, ისე მის მიმდევართ და თაყვანისმცემელთა შესახებ.

დღემდის ძლიერ ვერიდებოდით ურწმუნოების წინააღმდეგ საუბრების გამართვას, რადგან ჩვენში ნიადაგი არ ქონდა ამისთანა საუბრებს. ერთხელ ერთმა აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტმა რუსეთიდან გამოგვიგზავნა ჩვენ ვრცელი სტატია, რომელშიაც ავტორი დიდის ჭაპანწყვეტით ამტკიცებდა, რომ პატარა ბავშვები უნდა მოინათლონო. ამ სტატიას ჩვენ ადგილი არ მივეცით, რადგან ჩვენში ბავშვის მონათვლის წინააღმდეგი არც არავინ წინეთ ყოფილა და არც არავინ დღეს არის... ვიმეორებთ, დღემდის ჩვენ არ ვაძლევდით ადგილს პოლემიკურ სტატიებს ურწმუნოების შესახებ, რადგან ერთის მხრით საჭიროდ არ მიგვაჩნდა ამისთანა საუბრები ჩვენი მორწმუნე ხალხისთვის და მეორეს მხრით ჩვენ გვსურდა ჩვენი მკითხველების გრძნობა დაგვეზოგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეჭვი არ დაგვეთესა იქ, სადაც საეჭვო არა იყო რა. მაგრამ დღეს დრო შეიცვალა. სარწმუნოება შესამჩნევად სუსტდება და ზნეობაც მდაბლდება. ზოგიერთები, რომელთაც თავიანთ თავი ბრძნად მიაჩნიათ, საღმრთო წერილის სიტყვისამებრ, გასულელდენ და ამ სულელთაც მრავალნი სულელნი მიემხვრენ. ამისათვის დღეს საჭიროდ მიგვაჩნია, რომ დრო და დრო საუბარი გაუმართოთ მკითხველს ურწმუნოების შესახებ და კრიტიკულად განვიხილოთ ზოგიერთ ურწმუნო პირთა სწავლა-მოძღვრება და ქადაგება. განვიზრახეთ საუბარი გაუმართოთ მკითხველს შესახებ მისა, თუ რამდენად საფუძვლიანია ზოგიერთების სწავლა-მოძღვრება ურწმუნოების შესახებ.

ზემო დასახელებულ ურწმუნო პირთა შორის, რასაკვირველია, დღეს პირველი ადგილი უკავია რუსეთის გამოჩენილ მწერალს გრაფ. ლევ ნიკოლოზის ძეს ტოლსტოის. ლევ ტოლსტოის სახელის განთქმას მეტის-მეტად ხელი შეუწყო იმის საოცარმა ნიჭმა, რომელიც გამოიჩინა მან ბელლეტრისტულ მწერლობაში. ამ მხრით ლევ ტოლსტოის ბადალი მწერალი არა ჰყავს რუსეთში. წინეთ ლევ ტოლსტოი სარწმუნოების შესახებ არაფერს არ ამბობდა და თვითონაც ჭეშმარიტი მორწმუნე იყო. მაგრამ როცა მისი თხზულება „Война и Миръ, ანნა კარენინა, ჩემი ბავშვობა“ და სხვა ამ გვარი ბელლეტრისტული ნაწერები აღტაცებით მიიღო საზოგადოებამ და დაიტაცეს კიდეც რამოდენიმე გამოცემა, როცა ეს თხზულებები უცხო ენაზე გადათარგმნეს და იქაც მოიწონეს, როცა ტოლსტოიმ ეხლანდელი დროის წესწყობილება და ხალხის მმართვა-გამგეობა არ მოიწონა და ამისთვის ყოველი მხრიდან ვაშა-ვაშა მიაძახეს, მაშინ, რასაკვირველია, სირცხვილი იყო მისთვის ხმა არ ამოეღო სარწმუნოების წინააღმდეგაც. გათამამებული მის თაყვანისმცემელთაგან, წაქეზებული ეხლანდელი დროის სასულიერო უწყების ზოგიერთ წესწყობილებით და დაიმედებული თავის ნიჭზე, ტოლსტოი ადგა და დაიწყო წერა სახარებაზე და მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზე,—რასაკვირველია წინააღმდეგი. მოხუცების დროს იქამდი მივიდა იგი, რომ სახარება და ათი მცნება უარ-ჰყო და თავისი სახარება და თავისი მცნება სურს მისცეს ხალხს!..

ლ. ნ. ტოლსტოის მიმდევართ და თაყვანისმცემელთ ჰგონიათ, რომ ის წინააღმდეგი აზრი სარწმუნოების შესახებ, რომელსაც გრაფი დღეს ქადაგებს, ვითომც პირველად წარმოეთქვას ამ დიდებულ გრაფს. გრაფ ტოლსტოი და მისი მიმდევარნიც ასე ფიქრობენ, მაგრამ ძლიერ მოტყუებულნი არიან ისინი. ეს გარემოება მომაგონებს ერთ მღვდლის სიტყვებს, რომელიც წარმოათქმევინა ერთი შესანიშნავი ნასწავლი პროფესორის საქციელმა. ერთ შეკრებულებაში ერთმა იქ მყოფმა პროფესორმა აღტაცებით წარმოსთქვა:—არ მინდოდა მეთქვა, როგორც სხვას არავის უთქვამს დღემდის გამოცხადებულად, მაგრამ დღეს კი არ შემიძლია გასაგონად არ გამოვთქვა, კიდეც რომ ბევრნი დამემდურონ—მე თქვენ ყველას გასაგონად პირველად ვაცხადებ, რომ ღმერთი არ არის... დაასრულა თუ არა ეს სიტყვები ამ სწავლულმა პროფესორმა, იქ დამსწრე მოძღვარმა მოახსენა: „შემცდარი ბრძანდებით, ბატონო! სანამ თქვენ ბრძანებდით მაგ სიტყვას, თქვენზე სამი ათასი წლის წინეთ წარმოსთქვეს ეგევე აზრი ღმერთზე“.

—გთხოვთ დაგვისახელოთ ის პირნი, რომელთაც ასეთივე აზრი წარმოსთქვეს ღმერთზე,—უთხრა პროფესორმა.

—ეს სიტყვები პირდაპირ მეფე დავით წინასწარმეტყველმა სთქვა—მიუგო მოძღვარმა, რომელიც სამი ათასი წლის წინეთ ცხოვრობდა. იგი თავის ფსალმუნში ამბობს: „სთქვა უგუნურმა გულსა შინა თვისსა არა არს ღმერთი. განირყვნენ და ბილწ იქმნენ იგინი“...

პროფესორს შერცხვა და მეორე ოთახში გავიდა...

ამ პროფესსორისა არ იყოს ძლიერ შემცდარია გრაფ ტალსტოი, თუ იმას ფიქრობს, რომ მისი აზრები სარწმუნოების და სახარების წინააღმდეგ პირველად მისგან არის გამოთქმული და მის წინ სხვას არავის ეთქვას. ქვეყნის დასაბამიდგან დღემდის ყოფილან ურწმუნონი და დღესაც მრავალნი არიან. კარგად გადაათვალიერეთ კაცობრიობის ისტორია და თქვენ დარწმუნდებით, რომ სანამ გრაფი ლევ ტოლსტოი დაიბადებოდა და წერას დაიწყებდა, მანობამდისინ ათასობით იყვნენ ურწმუნონი და მისი თანამოაზრენი სახარებისა და სარწმუნოების შესახებ. მაგრამ გადის საუკუნოები,

გადის დრო და ურწმუნონი ურწმუნოებით სიცოცხლე მოშხამულნი კვდებიან და მორწმუნენი მათს მოძღვრებას არ ისმენენ...

მრავალ გვარია ურწმუნოება და ზოგიერთ ბრძენთა ახირებულობა. აიღეთ თუ გინდ დიოგენი —ეს შესანიშნავი ფილოსოფოსი. რამდენი უქადაგა ხალხს იმის თაობაზე, რომ თევზი ეჭამათ არა მოხარშული და შემწვარი, არამედ უმათ, ისე როგორც წყლიდან ამოიყვანენ დაჭერილს. რომ ვერავის ჩააგონა ეს ქადაგება, ბოლოს მსმენელების წინ უმ თევზს დაუწყო ჭამა და ამით უმტკიცებდა ყველას, რომ არავის არ აწყენდა უმი თევზის ჭამა. რამდენი იქადაგა მან ამის შესახებ, მაგრამ ვერა გააწყო რა. დიდ პატივს სცემდა თანამედროვე ხალხი დიოგენს, მაგრამ უმი თევზის ჭამაზე მაინც ვერავინ დაითანხმა. უმი თევზის ჭამაზე რომ ვერ დაითანხმა ხალხი, მერე დაიწყო ქადაგება სასახლეების და კარგი სადგომების წინააღმდეგ და რომ უფრო დაემტკიცებია ხალხისთვის თავისი აზრი ერთი „ბოჭკა“ დაქონდა თან და იმაში სძინავდა და ცხოვრობდა. ეს ახირებული ფილოსოფოსი ყველას უქადაგებდა, რომ წაებაძათ ლოკოკინასათვის და თავისი სახლ-კარი ზურგზე აეკიდათ და ეტარებიათ და ამნაირად წყნარად ეცხოვრათ და დიდი სასახლეების შენებით თავი არ შეეწუხებიათ და ვალში არ ჩავარდნილიყვნენ. მაგრამ არავინ ისმინა დიოგენის სიტყვა-მოძღვრება. ისეთი სასახლეები გამოსჭიმეს, რომ მთელ ქვეყანას აკვირებდენ და აოცებდნენ. დიახ, ძლიერ ახირებულნი იყვნენ ზოგიერთი ფილოსოფოსები! ზოგიერთი მათი ნაწერებით დღესეც აღტაცებაში მოდის მკითხველი, მაგრამ ზოგი მათი მსჯელობა და აზროვნობა ჩვენს დროში სასაცილოა...

გრაფ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი სულ სხვა ფილოსოფოსია. დიოგენი, როცა უმტკიცებდა ხალხს, რომ უმი თევზის ჭამა კარგიაო, ის ნამეტნავად დარწმუნებული იყო ამაში და გულით ამბობდა ამას და არა თვალთ-მაქცობით. როცა უმტკიცებდა ხალხს, რომ კაცისათვის სასახლეების შენება საჭირო არ არის და ერთ ბოჭკაში შეუძლია კაცს მოთავსდეს და ამ სახით თავისი სახლ-კარი თვითონ ატაროს ლოკოკინასავითო, თვითონ ნამდვილად ასე ასრულებდა და ასე იქცეოდა და ყოველივე სიმდიდრის წინააღმდეგი იყო. გრაფ ტოლსტოი სრულებით არ წაგავს ამ ფილოსოფოსს. ის ისეთ საშუალებას ხმარობს თავის გამოსაჩენად და საზოგადოების ყურადღების მისაქცევად, რომ ნამეტნავად გული გწყდებათ, როცა ტყობილობთ ზოგიერთ მის საქციელს, რომელსაც გრაფი ჩადის თავის გამოჩენისთვის. გრაფ ტოლსტოიმაც დაიწყო ქადაგება, ისე, როგორც დიოგენმა, რომ ერთნაირად უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაზე ყოველი კაცი და დიდი უკანონობა არის, როცა ერთს მილიონის საღირალი აქვს და მეორეს სულ არაფერია. თუ რამე აქვს ქაცს, ღარიბებს უნდა გაუყოს და ძმურად უნდა ცხოვრობდენო. ერთი სიტყვით, გრაფი იმ აზრის არის, რომ რაცა გაქვს შენ, მით ყველანი უნდა სარგებლობდენო. ამას ის მაცხოვრის სიტყვით ამტკიცებს. გრაფს დიდი მამულები აქვს, რომელთაგან დიდი შემოსავალი აქვს. ყველამ იფიქრა, უთუოდ ამ დიდ მამულს დაურიგებს ღარიბ ხალხსო, მაგრამ ძლიერ მოსტყუვდენ. თავის აუარებელი მამულები და დიდი შემოსავალი თავის ცოლ-შვილს გადასცა და თავის სახელზე აღარაფერი აღარ დაიტოვა. გამოაცხადა პატივცემულმა გრაფმა: მე არაფერი არა გამაჩნიარა და სამოწყალოდ ვსცხოვრობ ჩემ ცოლ-შვილთანო! კარგი თავის გამართლებაა სწორედ. ეს საქციელი ერთის მხრით ჩვენებური ზოგიერთ მოვალეების საქციელს წაგავს. ფულს ისესხებენ და მოვალეს რომ აღარ მისცენ, მთელ თავიანთ ქონებას ცოლზე ან რომელიმე ნათესავზე გარდასცემენ. დიოგენი რომ ქადაგებდა, გულით ქადაგობდა და თვითონაც არაფერს ირჩენდა და არც ქონდა, თორემ თავისი დიდი ქონება რომ ცოლ-შვილზე გადაეცა და მერე დაეწყო ქადაგება ერთი მეორეზედ მეტი არავის არ უნდა ქონდესო, ძლიერ გასაკიცხავი იქნებოდა. მაშასადამე, ეს საქციელი გრაფ ტოლსტოისა, ნამეტნავად უნდა ამდაბლებდეს მას მის თაყვანისმცემელთა თვალში, რომელთაც ყურადღება უნდა მიაქციონ გრაფის ამისთანა საქციელს.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

(გაგრძელება იქნება).

პატრიარქის იოაკიმე მესამის ხელმეორედ დანიშვნა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო კათედრაზე.

კრებას, რომელიც მოწოდებული იყო კონსტანტინეპოლში პატრიარქის ასარჩევად, ორი სხდომა ჰქონდა. პირველი სხდომა მოხდა 23 მაის მსოფლიო საპატრიარქოს შენობაში. შუადღისას შეიკრიბნენ ეკკლესიის და ხალხის ყველა წარმომადგენელნი, რომელთაც უნდა აღერჩიათ ახალი პატრიარქი. კრების თავმჯდომარედ იყო მსოფლიო პატრიარქის ტახტის მოადგილე, პრუსიის მიტროპოლიტი ნიფანაილი. გაიხსნა თუ არა კრება, აღირჩიეს სამი მდივანი საქმის საწარმოებლად და ორი რწმუნებული (წევრი სინოდისა მიტროპოლიტი გრეგენსკისა დოროთეოსი, და წევრი საბალხო შეერთებული რჩევისა ანტონი სურლა). ამ ორ უკანასკნელ პირს უნდა დაეთვალა ხმები, რომელიც ამოუვიდოდა რომელიმე კანდიდატს. შემდეგ წაკითხულ იქმნა სია იმ პირთა, რომელთაც უნდა აღერჩიათ პატრიარქი. სიით აღმოჩნდა, რომ კრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ შემდეგ პირთ: თორმეტ მიტროპოლიტს—კონსტანტინეპოლის ეკკლესიის სინოდის წევრთ, რომელთაც ხელმძღვანელობდა პატრიარქის ტახტის მოადგილე, მიტრაპოლიტი ნიფანაილი, ექვს მიტრაპოლიტს, რომელნიც დროებით იმყოფებოდნენ სატახტო ქალაქში, რვა საერო წევრსა მუდმივი სახალხო შეერთებული რჩევისას, სამ უმაღლეს საპატრიარქოში მოსამსახურეთ, სამ უმაღლესს და უხუცესს სამოქალაქო მოსამსახურეს, და სამ მოსამსახურეს საშუალო კლასისას, ოთხ წარმომადგენელს სამხედრო უწყებისას, ოთხს წევრს ბერძენთა უფრო გამოჩენილ სწავლულთაგან, ხუთ წევრს ვაჭართაგან, ერთს ბანკირს, ათ წარმომადგენელთ უფრო შეძლებულ გლეხთაგან, ორ წარმომადგენელს კონსტანტინეპოლის სამრევლოისას და კატასტანისა (ბოსფორის პირად არსებული პატარა ქალაქისა) და, 28 წარმომადგენელს ეპარქიებიდგან, და სრულიად 88. მაგრამ მხოლოდ 85 წევრი გამოცხადდა, არ გამოცხადებულა კრებაზე ერთი პოლკოვნიკი და რწმუნებულნი ქალაქ-იანინისა და კრიტის კუნძულისა. როცა აღმრჩეველთა სია შეამოწმეს, თავმჯდომარე მიიქცა კრებისადმი სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა საგანი კრებისა ე. ი. გახსნა კონვერტებისა, რომლებშიაც აღნიშნული იყო პატრიარქის ტახტზე აღსარჩევი პირების ვინაობა. ეს კონვერტები გამოგზავნილი იყო საპატრიარქო ყველა მიტრაპოლიტებისაგან, შედგენა კანდიდატების სრული სიისა, როგორც მიტრაპოლიტების ამ საიდუმლო მოხსენებათა საფუძვლით, ისე ამ კრების საერო წევრთა ხმის მიხედვით.—შემდეგ შეუდგნენ მიტროპოლიტების მიერ გამოგზავნილ კანვერტების გახსნას, რომელთა რიცხვი იყო 77 და მხოლოდ ერთი აკლდა (მიტროპოლიტის იმორისკისა). კანვერტებისაგან აღმოჩნდა, რომ მიტროპოლიტებისაგან დასახელებული იყო ოცი კანდიდატი საპატრიარქო მსოფლიო კათედრაზე. უფრო მეტი ხმა მიღებული ჰქონდა კონსტანტინეპოლის ყოფილ პატრიარქს იოაკიმმე მესამეს, და სახელდობრ—33 ხმა, ხალკიდონის მიტროპოლიტს გერმანეს—7 ხმა, პრუსიის მიტრაპოლიტს ნათანაილს და დერკსკისას კალლინიკს—ხუთ ხუთი, მსოფლიო პატრიარქად ყოფილს კონსტანტინე მეხუთეს—ორი ხმა და სხ. უკანასკნელი კანდიდატის ყოფილის პატრიარქის კონსტანტინე მეხუთის შესახებ, რომელმაც თავი დაანება ტახტს წარსულს მარტის 30 რიცხვს, შეკრებილებაში აღიძრა ბაასი, ვინაიდგან ერთი მიტრაპოლიტის პაკეტში, რომელშიაც აღნიშნული იყო კონსტანტინე მეხუთის სახელი, მოხსენებული იყო მთელი ისტორია ამ პატრიარქის თავისი კათედრიდამ გადაგდების შესახებ, აქვე აღნიშნული იყო ურიგო მოქმედება სინოდისა და სახალხო რჩევისა. მაგრამ კრებამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ უსახელო მოხსენებას. შემდეგ შეუდგნენ სხვა კანდიდატების აღრჩევას პატრიარქის კათედრაზე. ხმების შეკრების შემდეგ საერო აღმომრჩეველთაგან დასახელებულ იქმნენ შემდეგი პირნი: ირაკლიის მიტრაპოლიტი იერონი 13 ხმით, ნიკეიისა მიტროპოლიტი სოფრონი—7, სმირნისა ვასილი—12, და კსანისკისა იოაკიმე რვა ხმით. აგრეთვე კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ მიტრაპოლიტები—კესარიისა იოანნე, იკონიისა ათა-

ნასე, კორიკისა გერვასი, და გრეკონასკისა დოროთეოსი, მაგრამ მათ უარი განაცხადეს დაფარული კენჭის ყრაზე. ამ სახით კანდიდატების საზოგადო სიაში საპატრიარქო კათედრაზე აღნიშნულ იქმნა 24 მღვდელ-მთავარი. ამ სიაზე ხელი მოაწერეს კონსტანტინეპოლის სინოდის და სახალხო შეერთებული რჩევის ყველა წევრთ, და, შემდეგ საპატრიარქო დიდი ლოლოფეტის, სტავრაკი—ბეის არისტარხისის ხელით იმავე დღეს ეს სია კრების ოქმებთან ერთად წარდგენილ იქმნა სათათრეთის მთავრობის წინაშე. პირველი კრება, როგორც მოწმობს ოფიციალური ჟურნალი „საეკლესიო ჭეშმარიტება", № 21, მოხდა სრული წესიერებით და თანხმობით.

მეორე დღეს, 24 მაისს, მიღებულ იქმნა პორტის პასუხი დიდი ლოგოფეტის არისტარხისაგან. ამავე დღეს საპატრიარქო ტახტის მოადგილემ მიტრაპოლიტმა ნათანაილმა მოიწვია საზოგადო კრებაზე სინოდის და სახალხო შეერთებული რჩევის წევრნი. ამ კრებაზე წაკითხულ იქმნა მოხსენება სათათრეთის იუსტიციის მინისტრისა და აბდურრახმან-ფაშისა, რომელიც გამოგზავნილ იყო პატრიარქის მოადგილის სახელზე. აბდურრახმან ფაშა აცნობებდა, რომ სათათრეთის მთავრობამ დაამტკიცა ჟურნალი გუშინდელი კრებისა და აგრეთვე კანდიდატების სიაო, შემდეგ განხილულ იქმნა თვით სიაც. სიის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ პორტას ამოეშალა სიიდამ სახელები მიტროპოლიტების:—გერმანე ხალკიდონელისა, კალლინიკესი, კირილე ადრიანოპოლელისა, გრიგოლი იანისკისა, გრიგოლი სერრსკისა, ვასილი სმირნისა და იოანნესი. მაშასადამე ამ ზემო დასახელებულ პირთა გარდა დარჩა 17 კანდიდატი, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა აერჩიათ პატრიარქად. პატრიარქის არჩევის დღედ დანიშნულ იქმნა პარასკევი, 25 მაისი.

ამ დღეს დილით, კრების სხდომის დაწყებამდე საპატრიარქო შენობის მახლობლად იწყო თავის მოყრა ხალხმა, რომელსაც უნდოდა ადრიანად შეეტყო, რით გათავდებოდა კრება. წესიერების დასაცავად გამოთხოვნილ იქმნენ მრავალნი პოლიციელნი და მცირე გუნდი სალდათებისა. დანიშნულ საათს საპატრიარქოში იწყეს მისვლა კრების წევრებმა თითოეული მათგანი, შევიდოდა თუ არა დარბაზში, ჩაიწერებოდა განსაკუთრებულ წიგნში დასამტკიცებლად მისა, რომ იგი დაესწრო კრებაზე არჩევნების დროს, მერე მიიღებდა ლოცვა-კურთხევას პატრიარქის მოადგილის მიტრაპოლიტის ნაფანაილისაგან. როცა კრების თავმჯდომარემ, მიტრაპოლიტ ნაფანაილმა გამოაცხადა კრება გახსნილად, წაკითხულ იქმნა სია აღმრჩევლებისა, რომელთა რიცხვი იყო 87, არ გამოცხადდა მხოლოდ ერთი (კუნძულ კრიტის რწმუნებული). შემდეგ წაკითხულ იქმნა წინა კრების ჟურნალი, რომლის შემდეგ ხელახლა აღიძრა კითხვა ყოფილის პატრიარქის კონსტანტინე მეხუთეს კანდიდატობის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ კირნაფანაილმა შეაჩერა ბაასი ამ საგანზე და მიიქცა კრებისადმი ახალი სიტყვით, რომელშიაც იგი ურჩევდა კრებას აღერჩიათ პატრიარქი სინდისით და გულახდილად; უნდა გახსოვდესთ, ბრძანა მათმა მეუფებამ, რომ ქრისტეს დიდი ეკლესია ფრიად საჭიროებს დღეს ხელმძღვანელს და ძლიერ კარგ და გამოცდილს მესაჭეს, რომელიც განსხვავებულ უნდა იქმნეს მაღალი და ძლიერი ჭკუით, განათლებით, შეუბღალელი ზნეობით, რათა მან მიიყვანოს ხოლმადი ეკლესიისა წყნარს ნავთ-საყუდელში და დაამკვიდროს ხალხთა შორის მშვიდობა და წესიერება. ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე. ამ სიტყვის პასუხად ერთმა მსწავლულთაგანმა მთელი კრების სახელით მიტრაპოლიტს ნაფანაილს შესწირა გულითადი მადლობა ეკლესიის საქმეების მმართვა-გამგეობისთვის, რაც მათი მეუფება განაგებს პატრიარქის კათედრას, აგრეთვე მადლობა შესწირა მან სინოდის და სახალხო შეერთებული რჩევის ყველა წევრთ, რომელთაც დიდი დახმარება გაუწიეს ბერძნებს დღიდგან პატრიარქის თავის კათედრიდამ გადადგომისა. შემდეგ წაკითხულ იქმნა სულთანის მინისტრის მოხსენება კანდიდატების სიის შესახებ. მიტრაპოლიტმა ნათანაილმა მოახსენა კრებას, რომ პატრიარქი აღმორჩეულ უნდა იქნეს იმ 17 მღვდელთ-მთავართაგან, რომელთა სახელები წაუშლელად დასტოვა პორტამ სიაში. აგრეთვე გამოაცხადა თავმჯდომარემ, რომ 87 ხმისაგან არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ამოუა 44 ხმაო. ხმების დასათვლელად აირჩიეს ორი მიტრაპოლიტი და ორი წევრი სახალხო რჩევისა. შემ-

დეგ კრებას წინადადება მიეცა, რომ იმ 17 კანდიდატთაგან დაფარული კენჭის ყრით აერჩიათ სამი, რომ შემდეგ ამ სამი კანდიდატიდამ სინოდის წევრებმა აღირჩიონ ერთი. კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩნდა: კონსტანტინეპოლის ყოფილს პატრიარქს იოაკიმმე მესამეს ამოუვიდა 83 ხმა; ხიოსკის მიტ. კონსტანტინეს 72, ვარნის მიტ. პოლიკარპეს 69; ნიკომიდიის მიტ, ფილოფეის 6 ხმა. ამის შემდეგ კრების ყველა წევრნი გადავიდნენ საპატრიარქო ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნა საეკლესიო ღვთის-მსახურება, შემდეგ მიტრაპოლიტმა ნაფანაილმა დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი, სხვა მიტრაპოლიტებიც თავიანთ ადგილებზე დაბრძანდენ. შემდეგ პატრიარქის კანცელარიის დირექტორმა წაიკითხა ოქმი მთელი კრებისა დღიდგან პატრიარქის კონსტანტინე მეხუთის დათხოვნისა. შემდეგ იწყეს პატრიარქის აღრჩევა. მღვდელ-მთავრები რიგისამებრ შედიოდნენ საკურთხეველში და დებდენ ყუთში ბილეთს, რომელზედაც ეწერა იმ კანდიდატის სახელი, რომელიც მათ სურდათ პატრიარქად. როცა მიტროპოლიტების ხმები დაითვალეს, აღმოჩნდა, რომ ყველაზე უმეტესი ხმა მოუვიდა იოაკიმე მესამეს. ამ ამბავმა დიდი სიხარული გამოიწვია როგორც აღმრჩეველთა შორის, ისე ხალხში, რომელიც გარს ეხვია საპატრიარქო სადგომს. ტაძარში და დარბაზში მოისმა „ღირს არს“ «ღირს არს»-ო. მეტის-მეტი სიხარულისაგან ბევრნი კიდეც სტიროდნენ. შემდეგ კრების ყველა წევრნი ხელახლად გადავიდნენ პატრიარქის სასახლის დარბაზში და აქ ხელი მოაწერეს მეორე კრების ოქმს. ეს ოქმი გადაეცა პორტას დასამტკიცებლად. კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ გაგზავნილ იქმნენ ახალს ათონზე, სადაც განმარტოებით ცხოვრებდა მათი მეუფება პატრიარქი იოაკიმე მესამე, ოთხი მიტრაპოლიტი, წევრნი სინოდისა, ორი წევრი სახალხო რჩევისა, დიდი არხიდიაკონი და მეორე დიაკონი, რომ იგინი თან გამოჰყვნენ პატრიარქს. ამავე დღეს ორი ათას ტელეგრამამდე მეტი მიუვიდა იოაკიმე მესამეს კონსტანტინეპოლიდამ და სხვა ქალაქებიდამ. პატრიარქს იოაკიმე მესამეს მისალოცი ტელეგრამმა გაუგზავნა აგრეთვე სულთანმა, რომელმაც 28 მაისს კიდეც დაამტკიცა მათი მეუფების აღრჩევითი ოქმი და განკარგულება მოახდინა, რომ თესალონიკის ქალაქის უფროსი, რომლის გამგეობის ქვეშ იმყოფება წმიდა ათონის მთა, პირდაპირ ხლებოდა და სულთანის სახელით მიელოცა პატრიარქისთვის და მასთან ყოველივე ხარჯი, რომელიც საჭირო იქნებოდა პატრიარქის ათონიდამ კონსტანტინეპოლში გადმობრძანების დროს, ქალაქს მიეღო თავის თავზე*).

ნაცვრა.

ნეტავ იქ ვიყო, სად ბოროტება
მაცხოვრის ჯვარით დათრგუნვილია,
სად ჭეშმარიტი ძმობა, ერთობა,
კეთილ ზნეობა აღდგენილია.

—

სადაც სიყვარულს მიელტვის ყველა
შური და მტრობა დაგმობილია,
სადაც კაცური თავისუფლება
საერო რჯულად მიღებულია.

—

სადაც მდიდარნი ღარიბთა მწყობს
ძლიერნი სუსტთა დამფარველია,
სადაც ჯვარცმულის წმინდა მოძღვრება
თვით ცხოვრებაში ხორც-შესხმულია...

ქაიხოსრო გელოვანი.

---

*) პატრიარქის ათონიდან წამობრძანების ამბები წინა ნომერში გვქონდა დაბეჭდილი. რედ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისის საზოგადოებათა პალატაში სესხის განხილვის დროს ხაზინის კანცლერმა ბ-მა გიქს-ბიჩმა შემდეგი განაცხადა:

„ყველა მხრიდგან გვეკითხებიან, ომის ადრე და მალე გათავებას როდის ველირსებითო, მაგრამ ამის ნიშნებს ჩვენ ჯერ ვერსადა ვხედავთ. როგორც კიტჩენერის დეპეშებიდგანა სჩანს, ბურების სარდლებს გამოუქვეყნებიათ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ომს არას გზით არ შესწყვეტენ და გარდაწყვეტილი აქვთ სამშობლო ქვეყნის მთა და ველი უკანასკნელის ბურის სისხლით მორწყონ (ირლანდიელთა სკამებიდგან მოწონება და ტაშის ხმა ისმის). მაგრამ შესაძლებელია, განა, ინგლისმა ბურებს სრული დამოუკიდებლობა მიანიჭოს? (ისევ ტაშის ხმა ისმის) მართალია, სამხედრო გარდასახადების უმეტესი ნაწილი ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკას დაედება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ომი გათავდება და მშვიდობიანობა ჩამოვარდება. მეორეც, ვიცით ხარჯის დასაფარავად მადნებს გარდასახადები მოემატება, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავრობა ფრთხილად უნდა მოიქცეს, რომ საქმეს ხელი არ შეუშალოს, სამადნო წარმოებას არ დააბრკოლოსო“.

ლოიდ ჯორჯმაც საშინლად გაჰკიცხა მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ აფრიკაში და დაუსახელა ის უბედურებანი, რომელიც შეიძლება ამას შედეგად მოჰყვეს.

ბროდრიკმა თავის მხრივ სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც ირლანდიელნი ხშირად აწყვეტინებდნენ და შენიშნა, ვითომ ლოიდ ჯორჯისა და სხვათა სიტყვა უზრდელობით აღსავსე ყოფილიყოს და ომს მხოლოდ განგებ ხელს უწყობდნენ ამითი.

ორატორმა განაცხადა, რომ გენერალმა ბოტამ კიტჩინერისაგან ნება-რთვა მიიღო კრიუგერისათვის ნიშანდებული დეპეშა გაეგზავნა და მიიღო თუ არა პასუხი, მაშინვე შალკ-ბურგერისა და შტეინის მიერ ხელმოწერილი ნოტა იქმნა გამოქვეყნებული, რომელშიაც ნათქვამიაო:

„პრეზიდენტიც და მასთან დეპუტაციაც, რომელიც ამ ჟამად ევროპაში გვყავს გაგზავნილი, დიდად იმედოვნებენ, რომ ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბოლოს მაინც ჩვენდა სასარგებლოდა და სახეიროდ იქნება დაგვირგვინებული; მაშასადამე, საჭიროა ბრძოლა არ შევწყვიტოთ, განვაგრძოთ. გარდა ამისა, როგორც პრეზიდენტი გვწერს, იგი დეპუტაციის წევრებთან ერთად ყოველსავე ღონისძიებას იხმარს, რომ ტყვე ბავშვებისა და დედაკაცების დღევანდელი მდგომარეობა შემსუბუქებული იქმნას როგორმე“.

თან დასძენს ბროდრიკი, რომ კრებაზედ, რომელსაც ბოტა, დევეტი და დელარეი დაესწრებიან, გარდაუწყვეტიათ, არაფრის გულისათვის ინგლისელებს არ შეურიგდნენ, თუ რომ დამოუკიდებლობას არ მიანიჭებენ. ამ სამი თვის განმავლობაში ომის საქმემ იქამდის წინ წაიწია, რომ დიდი შეცდომა იქმნებოდა, ოპოზიციის სურვილსა და რჩევას დავყოლოდით და ბურებს შევრიგებოდით, მეტადრე მაშინ, როდესაც ბურები პირდაპირ აცხადებენ თქვენის პირობებით შერიგება არ გვინდაო.

—ასე წინააღმდეგნი არიან მთავრობის წარმომადგენელნი და მათი მომხრენი, მაგრამ მაინც ბურების სასარგებლოდ ამ ჟამად ძალიან ბევრი ლაპარაკობს და მათ შორის მთავრობისაგანნიც. რაც შეეხება დანარჩენს საზოგადოებას, ამათი რიცხვი ხომ დღითი დღე მატულობს და იზრდება. როგორც ბოლონდელი გაზეთები იუწყებიან, პროტესტანტობის აღმსარებელ პასტორებს კრება დაუნიშნავთ ლონდონში, რომელზედაც შემდეგი პირობები თურმე უნდა შეიმუშაონ შესარიგებლად: 1) ბურებს მთელი იარაღი უნდა დაუბრუნდეთ; 2) საყოველთაო ამნისტია მიენიჭოთ (თავისუფლება) როგორც ბურებს, ისრე კაპის ახალშენის ყველა მეამბოხეთა; 3) სამხრეთ-აფრიკაში ავსტრალიისა და კანადის ფედერაციის მსგავსი მმართვა-გამგეობა იქმნეს შემოღებული; 4) თვითოეულს საფედერაციო სახელმწიფოს ცალკე სრული ავტონომია (თვითმმართველობა) მიენიჭოს ყოველისფერში, რაც-კი დიპლომატიურ დამოკიდებულებასა და სამხედრო ორგანიზაციის საქმეს არ შეეხება; ყოველსავე ამ გვარ კითხვას საფედერაციო პარლამენტი გარდასწყვეტს; 5) ყველა მოქალაქეს ერთგვარი უფლებები მიენიჭოს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

3 ივლისს, სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც საბჭომ დაავალა შეუთანხმდეს ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა კომისიებს საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ დავესწარი კრებას აქაურ და იმერეთის თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისას, რომელნიც შეთანხმდნენ დღესასწაულის გარდახდის საქმეშიო. მთავრობის ნება-რთვით, ამ რიგად იქნება მოწყობილი დღესასწაული: 25 სექტემბერს დილით მოხდება სადღესასწაულო კრება ამერ-იმერეთის თავად-აზნაურთა, შემდეგ სიონის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, 26 სექტემბერს კიდევ პარაკლისი. შემდეგ სადილი იქმნება გამართული ტფილისში მყოფ ჯარისათვის თავად-აზნაურთა და ქალაქის სახელით; საღამოს წარმოდგენა გაიმართება; 27—სახალხო დღესასწაულს გამართავს კავკასიის მთავარ-მართებელი, ხოლო საღამოზედ სადილს თავად-აზნაურობა. ამ სადილზედ საპატიო სტუმარნი იქმნებიან მიწვეულნი. 28 სექტემბერს ქალაქი გამართავს საუზმეს, თავადაზნაურობა ბალს; ხოლო საღამოზედ „ფეიერვერკს“ ისევ ქალაქი. ქუჩები, სადაც დღესასწაული გაიმართება, გაჩირაღდნებული იქნება ქალაქის ხარჯით; ამას გარდა საჯარო ადგილებზედ დადგებიან საპატიო ყარაულები, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან ათ-ათი კაცი. სხდომაზედ გამოსთქვეს, სასურველია პანაშვიდსა და სახალხო დღესასწაულს დაესწრნენ ქალაქის გამგეობა, ქალაქის საბჭოს წევრნი, ხელოსანთა, ვაჭართა და მოქალაქეთა მამასახლისები და სხვა წარმომადგენელნიო. კომისიამ მიიღო ეს მოხსენება და გადასწყვიტა აცნობოს ეს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს.

(„ივერია“)

* *
*

„ივერიაში“ ჩვენ ვკითხულობთ: „საქართველოს საეპარქიო საბჭოს დადგენილებით, მომავალში შემდეგი წესი იქმნება მიღებული სამრევლო-საეკლესიო სკოლებში: იმ სკოლებში, რომელნიც ქალაქებშია დაარსებული, პირველ წლიდგანვე სწავლა რუსულს ენაზედ დაიწყობა. სოფლის იმ სკოლებში, სადაც მხოლოდ ქართველები არიან, სამ პირველ წელიწადს საგნებს ქართულს ენაზედ ასწავლიან, ამასთან დააწყებინებენ რუსულს და ასწავლიან ამ ენაზედ ლოცვებს. სოფლის იმ სკოლებში-კი, სადაც ქართველებთან სხვა ტომის შვილებიც (ოსები, ბერძნები, რუსები, თათრები და სხვანი) იქმნებიან, სწავლა პირდაპირ რუსულს ენაზედ დაიწყობა ეგრედ წოდებულ „მუნჯურის მეთოდის“ შემწეობით. ეს წესი შემოღებულ იქმნა საეპარქიო მეთვალყურის მ. ოსტოროგოვის მეცადინეობით». ეს ამბავი რაღაც დასაჯერებელი არ უნდა იყოს. უწმიდესი სინოდისაგან დამტკიცებული პროგრამმა, განა შეიძლება საბჭომ შეშალოს უწმიდესი სინოდის ნებადაურთველად? რაღაცა არ გვჯერა ეს ამბავი...

* *
*

იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის ქალების სასწავლებლის რჩევა აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა სასწავლებელში შემსვლელთათვის დანიშნულია 27, ხოლო განმეორებითი გამოცდა 28 აგვისტოს.

მომავალი 1901—1902 სასწავლო წლიდამ სასწავლებელში იქნება ყველა კლასები გარდა მესამისა.

თხოვნები სასწავლებელში მიღების შესახებ, შეტანილ უნდა იქნენ სასწავლებლის რჩევის სახელზე 15 აგვისტომდე და თხოვნასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნენ შემდეგი საბუთები: მეტრიკული მოწმობა სინოდ. კანტორისა (და არა მეტრიკული წიგნებიდამ აღმოწერილობა); 2) ყვავილის აცრის და საზოგადოდ ტანმრთელობის მოწმობა და 3) თუ მოსწავლე ქალი გადმოდის სხვა სასწავლებლიდგან, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს მოწმობა იმ სასწ ვლებლისა, სადაც ის უწინ სწავლობდა.—

* *
*

ყოვლად სამღვდელო ლეონიდი სარეკიზოთ წაბრძანდა სვანეთში. დაბრუნებისას დაათვალიერებს ლეჩხუმისა და რაჭის მაზრების ეკლესიებს და აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ჩამობრძანდება ქუთაისში.

* *
*

ერთ საპატიო პირზე გავრცელებული ხმა, რუსეთში გადაყვანის შესახებ, ქუთათური მეჭორეების ფანტაზიის ნაყოფია...

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

—

ს ა უ ბ ა რ ი,

თქმული ყვირილის ეკკლესიაში 24 ივნისს 1901 წელსა.

ძმანო ქრისტიანენო! დღეს, 24 ივნის ჩვენი მართლ მადიდებელი ეკკლესია დღესასწაულობს იოანნე ნათლის-მცემლის დაბადებას. ამ დღეს ქართველთა ერი დიდის პატივით დღესასწაულობს. ზოგიერთ ადგილას ზოგიერთი სულიერი მამები ამ დღეს წირვა-ლოცვას არ ასრულებენ, მაგრამ ხალხი მაინც შინა ზის და არ მუშაობს, რადგან იცის, რომ 24 ივანობისთვე—იოანნე ნათლისმცემლის დაბადების დღეა. თუ რამდენად პატივსა სცემს ქართველი ერი იოანნე ნათლისმცემელის ხსენებას, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ამ თვეს უწოდა ივანობის (იოანნობის) თვე პატივად და მოსახსენებლად იოანნე ნათლისმცემლის დაბადებისა. ასეთი რწმენა, ასეთი პატივისცემა ამ დღისა დღევანდელ ქართველთა ქრისტიანებს შერჩენიათ უხსოვარის დროიდგან. ბერძნები და ქართველები ერთგვარად სცემენ პატივს იოანნე ნათლისმცემლის დაბადების დღეს. მაგრამ, დღეს, სამწუხაროდ, ჩვენ მდაბალ ხალხში, და თუ გინდ მაღალ წოდების პირთა შორისაც მხოლოდ ის იციან, რომ 24 ივნისს ივანობა არის, მაგრამ ვინ იყო ეს იოანნე, რით იყო იგი შესანიშნავი, ამაზე სრულებით ვერას მოგიგებენ. ამისათვის ორიოდე სიტყვის თქმა იოანნე ნათლისმცემელზე, რომლის დაბადებასაც ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს, სასარგებლო იქნება იმათთვის, განსაკუთრებით, რომელთაც არ იციან ისტორია ამ შესანიშნავი ყოვლად ქებული წინასწარმეტყველისა და წინამორბედისა.

დღევანდელი წაკითხული სახარებიდან მოისმინეთ თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, იოანნეს დაბადება. თქვენ სახარებიდან შეიტყვეთ, რომ იერუსალიმის ტაძარში მსახურებდა ერთი მღვდელი, რომელსაც სახელად ერქვა ზაქარია და რომელსაც შვილი არა ჰყავდა. ცოლი მისი—ელისაბედი ძლიერ სწუხდა უშვილობას და ცოლ-ქმარნი ნიადაგ ევედრებოდნენ ღმერთსა, რომ შვილი მიცემოდათ მათ. კარგათ იცით, რომ უშვილობა არა თუ იმ დროს, როცა სცხოვრებდენ ზაქარია და ელისაბედი და როცა უშვილობა ღვთის რისხვად იყო მიჩნეული, არამედ დღესაც დიდ უბედურებას და მწუხარებას შეადგენს უშვილოთათვის. ერთ დროს, როცა ზაქარია რიგისამებრ ღვთის-მსახურებას ასრულებდა იერუსალიმის ტაძარში და შევიდა წმიდა-წმიდათაში საკმევად, მან მარჯვნით დაინახა ანგელოსი უფლისა და შეკრთა. ანგელოსმან ახარა მას, რომ უფალმან ისმინა ვედრება მისი და ელისაბედი შობს ძეს, რომელსაც დაარქმევს იოანნეს. „და იყოს შენდა სიხარულ და მხიარულება..., და მრავალთა შობასა მისსა განიხარონ“. ზაქარიამ ხარება საეჭვოთ მიიღო და უთხრა ანგელოსს: „რითი ვსცნა მე ესე? რამეთუ მე მოხუცებულ ვარ და ცოლი ჩემი გარდასრულ არს დღეთა მისთა“. ზაქარიას ასეთი პასუხი ეწყინა ანგელოსს, რომელმაც რქვა ზაქარიას: «და აჰა, იყო შენ დადუმებულ, ვიდრე დღედმდე ყოფად ამისა, რადგან არა გრწმენეს სიტყვანი ჩემნი, რომელნი აღესრულნეს ჟამსა თვისსა“. ხალხი იდგა სამლოცველოს გარედ და უკვირდა, რომ ზაქრიამ ასე დაიგვიანა და, არ გამოდიოდა ტაძრიდამ. ბოლოს გამოვიდა ზაქარია და იგიც წამს უყოფდა მათ. ხალხიც დარწმუნდა, რომ ზაქარიამ ტაძარში იხილა რაღაც ჩვენება და შინ წავიდა. გაიარა დრომ და ელისაბედს დაებადა ვაჟი. მერვე დღეს ყმაწვილის წინადაცვეთის დროს უნდოდათ ეწოდებიათ სახელად ზაქარია. მაგრამ დედამ განაცხადა, რომ ყმაწვილისათვის იოანნე ეწოდებიათ. იმ დროს ყმაწვილს არქმევდნენ ან მამის სახელს და ან მახლობელი ნათესავისას და ამიტომ ყველას უკვირდა, თუ რატომ სურდა დედას, რომ ყმაწვილისათვის ეწოდებიათ იოანნე, როდესაც მის მახლობელ ნათესავებში იოანნე არავის არ ერქვა.

შემდეგ დაეკითხნენ ზაქარიას. მან მოითხოვა ფიცარი, რომელზედაც დასწერა: იოანნე არს სახელი მისი. ამ დროს დაიწყო ლაპარაკი ზაქარიამ და აკურთხევდა ღმერთსა. ამ შემთხვევამ გააკვირვა ყველანი და შიში დაბადა მკვიდრთა შორის ურიასტანისასა. აღივსო სულითა წმიდითა ზაქარია, წინასწარმეტყველებდა, აკურთხევდა უფალსა და რქვა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაილისა, რამეთუ მოხედნა და ჰყო ხსნა ერისა თვისისა... და შენ, ყრმაო, წინასწარმეტყველ მაღლისა იწოდო, რამეთუ წარუძღვე შენ წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მისა“. ხოლო ყრმა იგი აღორძინდებოდა, და განმტკიცდებოდა სულითა და იყო უდაბნოსა ვიდრე გამოცხადებადმდე მისა ისრაილისა შორის. რატომ იზრდებოდა უდაბნოში იოანნე? თქვენ უკვე იცით, რომ როცა ქრისტე ველარ ნახა ეროდი მეფემ, გარდასწყვიტა დახოცვა ყველა ყრმათა —მამრობითი სქესისა ორ წლამდე. ღვთის ჩვენებით იოსები და მარიამი თავისი ძით წავიდენ ეგვიპტეში, ხოლო იოანნე ნათლისმცემელი წაიყვანა დედამ უდაბნოში და იქ იფარავდა თავს. ეროდის მოსამსახურეთ მოსთხოვეს მას შვილი იოანნე, მაგრამ მან არ მისცა მათ შვილი თვისი მოსაკლავად და არც ადგილი უჩვენა, სადაც იმალებოდა ყრმა, ამიტომ ზაქარია მოკლეს. დედა და ძე მისი იოანნე იმალებოდენ უდაბნოსა შინა. იესო ქრისტეს ქადაგების დაწყებადმდე, იოანნემ იწყო ქადაგება და ასწავებდა ხალხს, ნათელს სცემდა და ამზადებდა მათ მისაგებებლად ქრისტესა. ხალხი დიდ პატივსა სცემდა იოანნეს, როგორც დიდ წინასწარმეტყველს და სიმართლის და ჭეშმარიტების მქადაგებელს. იოანნე გაბედულად ამხილებდა ყველას და ეროდი მეფესაც, რადგან მას მისი ძმის ცოლი ცოლად ესვა. მეტი თავის გამეტება სიმართლისათვის აღარ შეიძლება. იგი ამხილებდა მეფეს, რომელსაც შეეძლო მისი სიცოცხლის მოსპობა და სასტიკი დასჯა და ეტყოდა: არა ჯერ არს ძმასა ცოლისა ყოლა. ეროდიადა, რომელიც ისმენდა ამ მხილებას, აღჭურვილი იყო წინასწარმეტყველის იოანნეს მტრობითა და ეძიებდა მოხერხებულ შემთხვევას, რომ ეროდის მოეკლა იოანნე, მაგრამ ეშინოდა ხალხისა, რადგან ყველანი წინასწარმეტყველად რაცხდენ მას. ერთ დროს ეროდიმ გააკეთა სადილი და მოიწვია დიდებულნი თვისნი ამ სადილზე, როგორც ლუკა მახარობელი მოგვითხრობს, ეროდიადის ასულმა ითამაშა და იმდენად დასტკბა ეროდი ამ თამაშობით, რომ აღუთქვა ასულს საჩუქარი ვიდრე ნახევარ სამეფომდე. ასული მივიდა დედასთან და უთხრა ესე ყოველი. ეროდიადამ განიხარა, რადგან მშვენიერი დრო ჰპოვა იოანნეს ჯავრის ამოსაყრელად და უთხრა თავის ასულს, რომ მან მოითხოვოს თავი იოანნე ნათლისმცემლისა პინაკზე დადებული. ასულიც ესე მოიქცა. ეროდი თუმცა შეწუხდა, მაგრამ ვინაიდგან სიტყვა მისცა თხოვნის ასრულებაზე, გაგზავნა მერხმლე საპატიმროში, სადაც შეპყრობილი იყო იოანნე. მოჰკვეთეს მას თავი და მოართვეს ეროდიადის ასულს და მან მიართვა დედასა თვისსა. აი, როგორ აღსრულდა ცხოვრება ამ დიდისა და ყოვლად ქებულისა წინასწარმეტყველისა და წინამორბედისა იოანნე ნათლისმცემლისა, რომლის დაბადებას დღესასწაულობს წმიდა მართლ-მადიდებელი ეკლესია. ეხლა იცი შენ, ძმაო, რატომ უწოდებთ ჩვენ დღეის დღეს ივანობას? ვინ იყო ეს იოანნე, რატომ იწოდება იგი ნათლისმცემლად და როგორ დაასრულა თავისი სიცოცხლე? არვინ არს დაბადებული ამ ქვეყანაზე, რომ ისე სათნო და დაახლოებულ იყოს ღვთისათანა, როგორც იოანნე ნათლისმცემელი. მამათა შორის ყოველთა დაბადებულთა იოანნე იხსენიება პირველად. ამისთვის მართლ-მადიდებელი ეკლესია ღირსეულად პატივსა სცემს მას და ჩვენი ძველნი ქართველნიც დიდ პატივსა სცემდნენ ამ დიდი წინასწარმეტყველის ხსენებას. ამ მოკლე ისტორიული მოთხრობიდან იოანნე ნათლისმცემელზე შენ, ძმაო, შეგიძლია დიდი სასარგებლო სწავლა მიიღო. ყველა ის, რაც გესმის შენ ტაძარში სახარებიდან, ყველა ის, რასაც მოისმენ ეკლესიაში, შენთვის დასამწყვსელია, ფრიად სასარგებლოა შენი სულისა და ხორცისათვის. იქნება სთქვას ვინმემ, თუ რა სარგებლობის გამოტანა შეუძლია მას იოანნე წინასწარმეტყველის ისტორიის მოთხრობიდამ. აი ეხლავ განგიმარტებ შენ ამას.

დღევანდელი წაკითხული სახარებიდგან დიდად უნდა ინუგეშონ მათ, რომელთაც შვილი არა ჰყავთ და მასთან უნდა ერიდონ იმ სამარცხვინო საშუალებას, რომელსაც ზოგიერთები ჩადიან, რომ შვი-

ლი მიეცესთ. მართალია, გულ-გრილად ვერ უყურებს უშვილო კაცი მათ, ვინც ბედნიერია შვილებით, მაგრამ განა არ გინახავსთ თქვენ ისეთი მშობლები, რომელნიც თავიანთ შვილის დაბადების დღეს სწყევლიდენ? დედ-მამისაგან მწუხარება და წყევა განა არ გაგიგონიათ თქვენ მათი შვილის დაბადების დღისა? განა არ გსმენიათ როდესმე, როცა დედა მტირალი ამბობს: „შენს დაბადებას ლეკვი დაბადებულიყო ის სჯობდა, რატომ არ დაიქცა ის დღე და ის საათი, როცა შენ მე ჩამესახეო?“ უშვილო კაცმა არ იცის, თუ რა ცეცხლი უტრიალებს ზოგიერთ დედ-მამას შვილების გამო. რა იცის უშვილო კაცმა, რომ მშობლები თავიანთ შვილებისაგან ხშირად უმეტეს სიმწარეს იღებენ? უშვილო კაცი კი ამისთანა მწუხარებისაგან სრულებით თავისუფალია.

უშვილო ცოლ-ქმარმა არასოდეს არ უნდა იწყონ დრტვინვა ღმერთზე იმისთვის, რომ მათ შვილი არა ჰყავთ. იქნება შენ შენი ცუდი ცხოვრებით ხარ, ძმაო დამნაშავე, რომ შვილი არა გყავს. იქნება შენ, ძმაო, ღმერთი გიფარავს ყველა იმ უბედურებისაგან, რომელსაც ხშირად შვილები აყენებენ დედ-მამას. ამისათვის უნდა დაენდო და დაემორჩილო ღვთის განგებას. თუ ღმერთს შენთვის შვილები არ მოუცია, არასოდეს არ უნდა მიიქცე იმ მატყუარა და ცბიერ პირებთან და არ უნდა იხმარო ის სამარცხვინო ზომები და საშუალებანი, რომელთაც ერთი სულ მდაბალი და ზნე დაცემული დედაკაცი ხმარობდა ამ ყვირილაში. ხომ დარწმუნდენ მრავალნი ამ დედაკაცის ცბიერობასა და მატყუარობაზე? რამდენი ფულები დასტყუა ამ სულ-მდაბალმა დედაკაცმა უშვილო მშობელთა და როგორ გაიპარა იგი ბოლოს!

თუ შენთვის ღმერთს არ მოუცია შვილიერობა მატყუარა ექიმი დედაკაცისაგან ნუ მოელი შვილიერობას. დაემორჩილე ღვთის განგებას, ილოცე, ევედრე ღმერთსა ისე, როგორც ლოცვილობდენ ზაქარია და ელისაბედი და იგი მოგანიჭებს შვილიერობას, თუ ღირსი ხარ და შენ თვითონ არა ხარ დამნაშავე შენის უშვილობისა...

არიან კიდევ ერთგვარნი მშობელნი, რომელნიც შვილების ყოლას უბედურებად სთვლიან. ძველ დროში მრავალი შვილები ღვთის კურთხევად ითვლებოდა და დღეს კი—ღვთისრისხვად სთვლიან. არიან ისეთი მშობლები, რომელნიც—სხვა-და-სხვა ღონესაც ხმარობენ, რომ შვილი არ ეყოლოსთ. მოვა დრო და ამისთანა მშობლები სასტიკად იქნებიან დასჯილნი, ბოლოს ბევრს ინანებენ, მაგრამ საქმეს მაინც ველარ გაასწორებენ. ბუნება სასტიკად სჯის მათ, ვინც ბუნების კანონებს სთელავს; სატირლად გაუხდებათ ბოლოს თავიანთი საქციელი, მაგრამ გვიანღა იქნება...

როცა შენ გამოიკვლევ, ძმაო, იოანნე ნათლის მცემლის ცხოვრების ისტორიას, შენ წინ ცხადათ გამოსჩნდება სახე დიდისა და შესანიშნავი ჭეშმარიტების მქადაგებელისა, იმისთანა მქადაგებელისა, რომლის მსგავსი ქალთაგან შობილი არავინ ყოფილა. იგი ქადაგებდა და სასტიკად ჰკიცხავდა უსამართლოებას და უსჯულოებასა. ამ მქადაგებლის კიცხვა და მხილება მჭრელ დანასავით ხვდებოდა უკანონობას და ბოროტ მოქმედებას, რომელსაც შენიშნავდა იგი ცხოვრებაში. იგი ამხილებს ბოროტებას, ვინც უნდა იყოს ამ ბოროტების ჩამდენი—დიდებული თუ მცირე, მდიდარი თუ ღარიბი. წმ. იოანნეს არ ეშინოდა სიკვდილისა, იგი გაბედულად ამხილებდა მეფესაც, რომელსაც თავის ძმის ცოლი ესვა ცოლად. ამ მხილებამ მთლად გააცეცხლა ეროდიადა და იგი არ ზოგავდა იოანნეს სასიკვდილოდ. მაგრამ ეროდი მეფე იცნობდა იოანნეს წინასწარმეტყველად, დადებულ მქადაგებლად, ბევრი რამ საყურადღებო სმენია მას იოანნესაგან და ნამეტნავად მისთვის, რომ ხალხს მიაჩნდა იოანნე წინასწარმეტყველად, და ამიტომ მეფე ვერ ბედავდა მის მოკვლას. მაგრამ რას ჩადის იგი ბოლოს? ბოლოს მეფე მაინც ასრულებს თავისი ბოროტი ცოლის სურვილს და თავს კვეთს დიდებულს ჭეშმარიტების მქადაგებელს იოანნეს. მოუსპო სიცოცხლე ჭეშმარიტების მქადაგებელს საპყრობილეში, დადუმდა ენა მქადაგებლისა, ბოროტების და უსამართლოების მამხილებელისა, მაგრამ მისი თავის მოკვეთა სამუდამოდ და საქვეყნოდ ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ყველანი, რომელთაც კი სურსთ ქრისტიანულად იცხოვრონ, რომელნიც არ ემორჩილებიან დიდებულ პირთა სურვილს და ხშირად

უკანონო მათ მნებელობას, რომელნიც ჭეშმარიტებას, სიმართლეს და პატიოსნებას არ უღალატებენ ამ ქვეყანაზე, უთუოდ დევნილნი იქმნებიან სიტყვისამებრ პავლე მოციქულისა (ბ. ტიმოთ. 3—12—13). ამისთვის შენც დაიხსომე, ძმაო, ეს და იცოდე, თუ გსურს ჭეშმარიტი ქრისტიანეს სახელი მოიპოვო, ყველას ამხილე ბოროტება, უსამართლობა და უსჯულოება. მაშინ იქნები შენ ჭეშმარიტი ქრისტეს მხედარი და დაიმკვიდრებ სასუფეველსა, რომელიც მოგანიჭოსთ ღმერთმა. ამინ.

დეკ. დ. დამბაშიძე.

ხმა მაცხოვრისა ეკლესიის მწყემსისადმი.

«სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ესე მე გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ყოფდეთ". (იოან. 13,15).

დასასრული *)

სანაქებოდ იქცევიან ის მღვდლები, რომლებსაც ჩვეულებად გაუხდიათ მრევლითურთ ან მარტოდ მგზავრობა რამდენიმე ხნობით თაყვანის საცემლად წმიდა ადგილებისა ისეთ მონასტრებში, რომლებიც სახელ-განთქმულნი არიან ზედმიწევნით და ერთგულად წესდების ასრულებით. მართალია მღვდლობა თავის-თავად წმიდა და გამფაქიზებელია, მაგრამ, ვინაიდგან მრავალნაირი მსოფლიური გასართობები შენი მსოფლიური სისუსტისა გამო, გიზიდავენ, გავიწყებენ სულიერი მოთხოვნილებისათვის ზრუნვას და ხშირად არც განებებენ მოახმარო სავსებით შენი ძალ-ღონე მოვალეობის აღსრულებას, —სასარგებლოა შენთვის რამდენიმე დრო გაატარო ჩვეულებრივი ცხოვრების გარეშე ისეთ ადგილს, სადაც ისეთი საგნები და ეკკლესიური მორთულობაა, რომლებიც სავსებით მიიპყრობენ შენს სულსა და გულს ღვთისაკენ.

ხშირად შეხვდებით მღვდლებს, რომლებიც ერთგულად და მამაცად ემსახურებიან მოძღვრობა და ამავე დროს გულცივად ექცევიან თვისი სულის ცხოვნების საქმეს. ამიტომაც მეტის-მეტი სასარგებლოა შენთვის, მღვდელო, რომ ზოგჯერ რამდენიმე დღე დაჰყო გარეშე შენი სამწყსოისა მყუდროდ, რათა სავსებით მოიკრიბო გონება და იფიქრო ჩემზედ და იზრუნო საკუთრად შენის სულის მოთხოვნილებისათვის. ამავე მიზნისათვის სასარგებლოა შენთვის, მოძღვარო, ხშირად აღსარების თქმა შენი მოძღვრისათვის.

8. ეს ჩემი მოძღვრება გამსჭვალულია იმ გვარივე ხასიათით, როგორითაც გამსჭვალული იყო დარიგება, რომელიც მივეცი ჩემ მიერ შეყვარებულ მოციქულებს, როდესაც საქადაგებლად გაგზავნის შემდეგ დაბრუნდენ ჩემთან და მომცეს ანგარიში, თუ რა მოიმოქმედეს და რა ასწავლეს. მაშინ იმათაც ასე უთხარი („და მოვიდეს და შემოკრბეს მოციქულნი იესოსა და უთხრეს მას ყოველი, რაოდენი ჰქმნეს და ასწავეს. და რქვა მათ იესო: მოვედით თქვენ თვისაგან უდაბნოსა ადგილსა და განისვენეთ მცირედ" მარკ. 6, 30, 31). ეს რამდენიმე დღე დასვენებისა, რომლებიც ჩემთან გაატარეს, რასაკვირველია, არ ჩაითვლებოდა დაკარგულად. პირიქით, ეს იყო დრო, როდესაც ჩემი მათთან ყოფნით იგრძნეს სავსება მადლისა. მოციქულების მაგალითისამებრ, შენც, მღვდელო, მღვდელთ-მთავრის ლოცვა-კურთხევით რამდენიმე დღის ვადით იმგზავრე ხან-და-ხან წმიდა ადგილებში, რათა იქ მყუდროობაში ასაზრდოვო შენი სული სიწმიდით და თავის-თავის ცნობიერებით. იქ გაგიახლდება და გაგიძლიერდება სული ერთგულებისა. მაგრამ ამ ნაყოფით არც მარტო შენ ისარგებლებ. გაახლებული და გამხნევებული შენი ნიჭით მრევლიც ბევრს ისარგებლებს: ეს მადლი მასაც მოეფინება. ცეცხლი ღვთაებრივი სიყვარულისა უსარგებლოდ არ აინთება შენს გულში. შენი სიტყვები აქედგან აღმოივსებენ ახალს ძალას, რათა უფრო მეტად გაუნათლონ გული მორწმუნეთა და მოაქციონ ჩემდა მომართ.

დასასრულ გეტყვი მოკლედ: ნურასოდეს ნუ დაივიწყებ, რომ ლოცვა შეიცავს თვის შორის ისეთ დიდებულ ქველ-მოქმედებას, რომელიც მიუცილებლად საჭიროა სხვა ქველ მოქმედებათა საუნჯის მოსაპოებლად და დასაცველად.

---

*) იხ. „მწყემსი" № 11 1901 წ.

თავი 14. ევქარისტია.

1. ყველა საღმრთო მსახურებათა შორის ლიტურგიას (წირვას) უპირველესი მნიშვნელობა აქვს. ჩემი ხორცისა და სისხლის მსხვერპლად შეწირვა—ევქარისტია—შეარიგებს, განკურნებს, თაყვანისცემას აღავლენს. ევქარისტია მოქმედებს უსამზღვრო ძლიერებით და ღვთაებრივი ზედ-გავლენით. ევქარისტია უდიდებულესია ჩემს საქმეთა შორის. თვისი მნიშვნელობით ჩემს ყოვლის შემძლებლობის სიმაღლეს უსწორდება. მაგრამ, მწყემსო ჩემის ეკლესიისავ, შენ ხარ ამსრულებელი, შემწირველი ამ მსხვერპლისა, მხოლოდ შენით სრულდება ის ქვეყნად. წარმოიდგინე ის ადგილი, სადაც შევსწირე მე ეს მსხვერპლი ჩემს ზეციერ მამას. მე მსურდა ასეთ ადგილად ამერჩია დიდი ქორედი, დაგებული, მომზადებული (მარკ. 14, 15). მაშასადამე, როდესაც ემზადები უსისხლო მსხვერპლის შესაწირავად, მაშინ შენი გული უნდა წარმოადგენდეს სრულს, მშვენივრად მორთულს ბინას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესათვის.

2. შენი გული უნდა იყვეს ვრცელი სარწმუნოებით ჩემი უსამზღვრო სახიერებისდა მიმართ, ფართო იმ წმიდა სარწმუნოებისდა მიმართ, რომელიც მარად ჟამ მხნევდება, მარად-ჟამ თხოულობს ყოველ-გვარ სიკეთეს, რომელიც მოქმედებს ყოველივეს შენისა და შენი მოყვასის სასარგებლოდ. წასდეგ ჩემი საკურთხეველის წინაშე განუსაზღვრელი გრძნობით, აღსავსე გულით, რომელსაც შია და სწყურიან ჩემი სიყვარული. საჭიროა, რომ შენც, ჩემდა მსგავსად, შეგეძლოს თქმა: „გულის სიტყვით გული მითქმიდა პასექსა ამას ჭამად“ (ლუკ. 22, 15).

სულითა და გულით უნდა ნატრობდე, რომ ევქარისტია იყოს შენის სულისათვის უტკბესი და ცხოველს მყოფელი მანანა,—ის მანანა, რომელშიაც უნდა შეგეძლოს ყოველივე სიკეთის პოვნა. მოუთმენლად უნდა ნატრობდე, რომ ევქარისტია იყოს ჩემი ეკლესიისათვის უძლიერესი შემწეობა საჭიროების დროს, უძლიერესი ძალა მუდმივი ბრძოლის დროს. შეითვისე მტკიცე სარწმუნოება და შენი წმიდა სურვილები არ ჩაივლიან უნაყოფოდ. მე ვარ, რომელიც ვაკმაყოფილებ მათ. მე ავავსებ მათ ჩემის მადლის სიუხვით. მე ვსდებ ჩემი უსამზღვრო ძლიერებით ევქარისტიას წარმოუდგენელ, დიად ფასს.

3. შენი გული უნდა წარმოადგენდეს შენ მიერ გამშვენებულ სამკვეთლოს, სადაც უნდა შეგეძლოს ჩემი მიღება ღირსეულად, და სადაც მე უნდა შემეძლოს ჩემის ძლიერის სიყვარულით შენთან ერთად სერობა. დაეკითხე შენს სინდისს, ნუ თუ არ არის საჭირო, რომ მღვდელს, რომელიც მსახურობს საკურთხეველის წინაშე, შემკული ჰქონდეს გული ყოველივე ქველ-მოქმედებით? ნუ თუ არსებობს რომელიმე სათნოება, რომელიც მიუწდომელია მღვდლისათვის, და ნუ თუ არსებობს სათნოება, რომელიც არ არის საჭირო ეკლესიის მწყემსისათვის? შემდეგ ამისა დაფიქრდი, თუნდა რომ მთელ შენს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეგხვედროდეს უსისხლო მსხვერპლის შეწირვა შენთვის, და ხალხის მოსახსენებლად, ნუ თუ მაშინაც არ უნდა სცდილიყავ გაგეწმიდა თავის თავი? მაგრამ გახსოვდეს, რომ ევქარისტია ძალიან ხშირად უნდა შესწირო.

4. ასევე ერთგულად ეცადე, რომ ღირსეულად მოამზადო მორწმუნენი სერობისათვის, როდესაც მე ვნებულობ, რომ მათაც მიიღონ ეს საიდუმლო. ასწავლე მათ, რომ თავის თავადაც მოემზადონ საიდუმლოს მისაღებად, გარდაჰქმნან თვისი გული მტკიცე სარწმუნოებითა და წრფელი გრძნობებით ჭეშმარიტ სამსხვერპლოდ,—სამკვეთლოდ, რომელიც შემკული უნდა იყვეს ყოველივე სათნოებით. შეაგონე მრევლს, რომ მე ვარ, როგორც შენთვის, ისე მათთვისაც, პური ცხოვრებისა, პური არსებითი. ნუ მოიშორებ ფიქრიდან ამ ჭეშმარიტებას და მაშინ არც ერთი არ მოაკლდება შენ მიერ სასმელს, რომელსაც ღვთაებრივი მადლი აგონებს ჩემთან ერთობას.

ვიცი რომ მათ სძაგთ ცოდვები, სძულთ ყოველივე ის, რაც მე შეურაცყოფს. ნურასოდეს ნუ დაუხშავთ მათ ჩემი საკურთხეველის კარებს; პირიქით მარად ჟამ გაღებული გაქვნდეთ, ვინაიდგან იგინი არ მივიწყებენ მე და არც მე ვივიწყებ მათ. ნუ მოექცევით მათ მეტის-მეტი მკაცრად მათი უგუნურებისა და ცოდვებისათვის. დაეკითხე შენს გულს, შორს არის ის ამ ნაკლისა და ცოდვებისაგან, თუ არა? და შენ კი თითქმის ყოველ დღე ასრულებ ევქარისტიას. ნუ თუ იგივე ნაკლი და უძლურება შენთვის უფრო მოსატევებელია იმიტომ, რომ შენ მღვდელი ხარ?

(რუსულიდან). მღ. დ. ჩხაიძე.

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ოთხ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

⁊

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ „რუსული „ 3 მ.	— „ „რუსული „ 2 »
— „ „ ორივე გამოცემა 5 »	— „ „ ორივე გამოცემა 3 »

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ევრიალაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც. თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარიოვთან; **საჩხერეში**—ყ რ ა ხ ნ ჩ ვ ე ი ძ ე ს თ ა ნ; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; **ახალსენაკში**—ბლაგოჩინ მაჰა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გ ა ო ც ე მ ა **სამ მ ა ნ ე თ ა დ.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** დეისაძის სახლებში და **ევრიალაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარემ ძცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ **პრემიად** (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული **დიდი სურათი** ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

ხშირად როცა რაიმე უბედურება გვეწევა, მხოლოდ მაშინ ვიწყებთ სინანულს, რომ თავის დროზე რაიმე ღონე არ ვიხმარეთ, რომ ამისთანა უბედურ შემთხვევათაგან თავი უზრუნველ გვეყო. რომ შემდეგში მაინც თავიდამ ავიცდინოთ ნიგთიერი ზარალი რაიმე უბედური შემთხვევის დროს, ყველას ურჩევთ თავის დაზღვევას დასაზღვევ საზოგადოება—„როსსიაში“. ეოველ პირს, რომელიც წლიურად შეიტანს 20-დამ 50 მანეთამდე, იმისდა მიხედვით, ვინ რა მოხელეა, შეუძლიათ თავი დაიზღვევოს 10,000 მანეთში სიკვდილის შემთხვევისაგან და 10,000 მანეთში, თუ ვინიცობაა დაზღვეული პირი დაშავდა.

დაზღვევა შეიძლება 1000 მანეთიდან 200,000 მანეთამდე.

1900 წ. დამზღვეველმა საზოგადოებამ „როსსიამ“ მისცა უბედურ შემთხვევათაგან დაზარალებულ პირთ უმეტეს 1,200,000 მანეთისა.

უფრო დაწვრილებით პირობათა შეტყობა შეიძლება საზოგადოების სამმართველოში (პეტერბურგში № 37, აგენტთან ქ. ქუთაისში ი. ა. მიქელაძესთან ქარ.-სარაის ქუჩა მის. სათავად-აზ. ბანკის სახლში და აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქებში.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ოფიციალური განკოფილება: აქაზი უწმიდესი და უმართებელესი სინოდიდგან 13 თებერვალს 1901 წელსა. სინოდის წევრს, საქართველოს ექსარხოზს ყ დ სამღვდელო ფლაბიანეს, მთავარ-ეპისკ. ქართლ-კახეთისას.

სალიტერატურო განკოფილება: გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი და სულელნი მისი გულისათვის, დეკ. დ. ღამბაშიძისა.—პატრიარქის იოაკიმე მესამის ხელმეორედ დანიშვნა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო კათედრაზე.—ნატვრა, (ლექსი) ქაიხოსრო გელოვანისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და **მეცნიერება ქრისტიანოზგრივ საროვმუნოებასა** და **კეთილ-ზნეობაზე:** საუბარი, თქმული ყვირილის ეკკლესიაში 24 ივნისს 1901 წელსა, დეკ. დ. ღამბაშიძისა.—ხმა მაცხოვრისა ეკკლესიის მწყემსისადმი.

—განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღ**ამბაშიძე. Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 іюля *1901 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.